შ.პ.ს. „ლაბეი დეველოპმენტი”

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის №31-ში მდებარე
სამ სართულიანი შენობის დაშლის

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2010

შ.პ.ს. „ლაბეი დეველოპმენტი”

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის №31-ში მდებარე
სამ სართულიანი შენობის დაშლის

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი **ზურაბ ნეფარიძე**

თბილისი

2010

სარჩევი

1.	საერთო ნაწილი, ფოტო მასალა არსებულ მდგომარეობაზე, დასაშლელი შენობა და მიმდებარე ტერიტორია	4
2.	კალენდარული გრაფიკი შენობის დაშლაზე და დაშლითი სამუშაოების განხორციელების ცალკეული ეტაპები.	7 8
3.	მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე	8
4.	მანეთის ლარში გადამყვანი ინდექსის შესახებ	9
5.	მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე.	9
6.	მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე.	10
7.	საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპებ	11
8.	დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები	12
9.	მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია	13
10.	მანქანა-მექანიზმების და ინსტრუმენტ-დანადგარების შერჩევა	14
11.	მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე	15
12.	ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები	16
13.	შენობის დასაშლელ სამუშაოთა წარმოების პროექტის შესადგენი ნორმატული ლიტერატურა	17
14.	დაშლით სამუშაოთა ორგანიზაციის გენერალური გეგმა, ექსპლიკაცია, პირობითი აღნიშვნები, მითითებები	18

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის №31-ში მდებარე
სამ სართულიანი შენობის დაშლა

1. საერთო ნაწილი

1.1. დაშლის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობის და ეზოს ტერიტორიის დათვალიერება დაშლის პირობების გაანალიზებითა და შესწავლით.

1.2. აღნიშნულ მისამართზე ტერიტორიის ფართობი 3217 კვადრატული მეტრია. ტერიტორიაზე განთავსებულია ოთხ სართულიანი შენობა. შენობის მოშენების ფართი შეადგენს 890 კვადრატულ მეტრს. მთლიანი სამშენებლო ფართი 3560 მ^2-ია, ხოლო სამშენებლო მოცულობა – 16020 მ^3.

1.3. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურით ნაშენი კედლები. სართულშუა გადახურვები წარმოადგენს ხის კოჭებზე დაყრდნობილ სისტემას. წარსულში ჩატარებული გამაგებითი სამუშაობის შედეგად ფრაგმენტულად გამოყენებულია რკინაბეტონი სართულშუა გადახურვებში. კარ-ფანჯრები შენობას არ აქვს. სახურავი ხის სანივნივე სისტემაზეა, გადახურულია თუნუქის ფურცლებით.

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო-მასალა



ფოტო №1. დასაშლელი შენობის ხედი ჭავჭავაძის გამზირიდან.



ფოტო №2. დასაშლელი შენობის ხედი ეზოს მხრიდან.



ფოტო №3. დასაშლელი შენობის ხედი ეზოს მხრიდან.

1.4. დაშლის სამუშაოთა დაწყების წინ აუცილებელია მოეწყოს დროებითი ხის ღობე სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გენგეგმის მიხედვით.

1.5. ტერიტორიაზე გაყვანილია საინჟინრო ქსელები და მათი განშტოებები. შენობის დაშლის წინ ქალაქის საექსპლოატაციო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად აუცილებელია საინჟინრო ქსელების (წყალსადენის, კანალიზაციის, თბოქსელის, გაზსადენის, ელექტროკაბელების, სატელეფონო ქსელებისა და სხვათა) ჩართვის კვანძების დათვალიერება – გამოკვლევა და ჩაჭრა.

1.6. შენობა-ნაგებობათა დასაშლელ სამუშაოთა შესრულებაზე, 1მ^2-ის დაშლაზე, მასალა-ნაკეთობათა დატვირთვაზე და გატანაზე ნაგავსაყრელზე 20 კმ-მდე მანძილზე საორიენტაციოდ 30 ლარია საჭირო. შენობის საერთო ფართობი შეადგენს 2600 კვადრატულ მეტრს, მათ დაშლაზე საჭირო იქნება თანხა 78000 ლარი, დღგ-სა და ხელფასზე გადასახადების გათვალისწინებით 78000X1,25X1,18=97500

ლარი. ამავე დროს, დაშლითი სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, გაზსადენი, ელექტროქსელი, ტელეფონი და სხვა) ჩაჭრა საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით, რაც ასევე გასათვალისწინებელია პირობით 5 000 ლარის დამატებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მთლიანმა ხარჯმა შენობა-ნაგებობების დაშლაზე და სამშენებლო ნაგვის გატანაზე შესაძლებელია შეადგინოს 104.500 ათასი ლარი.

1.7. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შედგა კალენდარული გეგმა დაშლით სამუშაოებზე სამ თვეზე გათვლით.

2. კალენდარული გრაფიკი შენობა-ნაგებობათა დაშლაზე თანხების მოთხოვნილების გათვალისწინებით

№	სამუშაოთა დასახელება	ღირებულება ათ. ლარი	თანხების ათვისება თვეებში		
			1	2	3
1.	მოსამზადებელი სამუშაოები: შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების ჩაჭრა საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით	5	5		
2.	დროებითი შენობა-ნაგებობები	2	2		
3.	შენობა-ნაგებობათა დაშლა	97.5	30.0	40.0	27.5
4.	სულ სამუშაოთა ღირებულება	104.5	37.0	40.0	27.5
5.	თანხების პროცენტული განაწილება თვეებში	100 %	30%	40%	30%

შენობა-ნაგებობათა დაშლითი სამუშაოების განხორციელების ცალკეული ეტაპები

№ №	ეტაპების დასახელება	დღეები	კალენდარული თვეები		
			1	2	3
1	მოსამზადებელი სამუშაოები	10	10დღე		
2	შენობა-ნაგებობათა დაშლა	80	80 დღე		
3	სამშენებლო ნაგვის გატანა	90	საჭიროების მიხედვით		

ტერიტორიის და დასაშლელი შენობა-ნაგებობების მაჩვენებლები შემდეგია;

1. ტერიტორიის ფართი – 1520 მ^2
2. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართობი – 2600 მ^2;
3. შენობა-ნაგებობათა სამშენებლო მოცულობა – 8600 მ^3.

3. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

3.1 მუშახელის ანგარიში წარმოებს მუშათა წლიური გამომუშავების მიხედვით. ცხადია შენობის დაშლის პერიოდში მუშათა რაოდენობა სხვადასხვა იქნება. დაშლით სამუშაოებზე მუშის საშუალო დღიური გამომუშავება შეადგენს 40 ლარს, თვიური 1000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე სამი თვის პერიოდში საშუალოდ დღიურად დაგვჭირდება 35700:(1000X3)=12 მუშაკი. მათ შორის იქნება 1 ინჟინერი და ორი ტექნიკური პერსონალი. მათზე ვანგარიშობთ:

3.2 საყოფაცხოვრებო სათავსებს

- გასახდელებს 12X0,7=8.4 კვ. მეტრი;
- საშხაპეს –12X0.082=0.98 კვ. მეტრი;
- ტუალეტი –12X0,065=0.78 კვ. მეტრი

სულ გვჭირდება 10.16 კვ. მეტრი.

3.3 კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 3 კაცზე სულ საჭიროა 10+3X4=22 კვ.მეტრი.

4. მანეთის ლარში გადამყვანი ინდექსის შესახებ

შენობა-ნაგებობათა დაშლის პერიოდში წარმოიშობა მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე, ჟანგბადზე და სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. მათი გათვლა წარმოებს სნ-73 ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1 მილიონ მანეთ დანახარჯზე წლიური შესასრულებელი პროგრამის მიხედვით.

მანეთის ლარზე გადასაყვანად ვსარგებლობთ დღეისათვის მოქმედი ინდექსით: 1 ლარი უტოლდება 2,2 რუბლს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაანგარიშებებში შეგვყავს კოეფიციენტი k=1:2,2=0,45

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება დაშლაზე შეადგენს 104.500 ათას ლარს ანუ 0.105 მლნ. ლარს. საჭიროა მისი გადაყვანა წლიურ მოთხოვნილებაზე სამი თვის მიხედვით, რაც ნიშნავს თანხების მოხმარების შემჭიდროებას დროში; კოეფიციენტი იქნება 12/3=4 ე.ი. ანგარიში უნდა ვაწარმოოთ თანხის გადამყვანი კოეფიციენტის მიხედვით გაზრდილ მოთხოვნილებაზე K_2=4.

5. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

5.1 მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

0,78X140X0.036X0,45X4=7.08კვტ

5.2 მოთხოვნილება წყალზე

0,93X0,24X0.036X0,45X4=0.01ლ/წმ

5.3 მოთხოვნილება კომპრესორზე

0,93X0,32X0.036X0,45X4=0.02=1 ცალი

5.4 მოთხოვნილება ჟანგბადზე

0,93X4400X0.036X0,45X4=265.5 მ^3/საათში

ფორმულებში 0,78; 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140; 0,24; 0,32 და 4400 ერთ მილიონ მანეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატული დანახარჯები.

5.5 მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლოატაციო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება-კონტაქტების საფუძველზე.

6. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტიც ანგარიშდება 1 მლნ. მანეთ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

6.1 თვითმცლელი მანქანები 0,035X11,62X0,45X4=0.7=1 ცალი დღეში

6.2 ძარიანი მანქანები 0,035X8,57X0,45X4=0.5=1 ცალი დღეში

6.3 სპეცავტოტრანსპორტი 0,035X10,92X0,45X4=0.7=1 ცალი დღეში

6.4 თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინასწარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

7. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

7.1. ჩვენს მიერ შედგენილი სოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს ხანძარსაწინააღმდეგო და სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

7.2. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- საკადასტრო რუქა;
- ტოპო გეგმა;
- შენობა-ნაგებობათა ავარიული მდგომარეობის ამსახველი ფოტო მასალა;
- სიტუაციური გეგმა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

7.3. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

7.4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

7.5. არსებული შენობებისა და ნაგებობების დაშლის წინ საქალაქო კომუნიკაციების სამსახურებთან შეთანხმებითა და მათი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს წყალსადენის, კანალიზაციის,

ელექტროკაბელის, გაზსადენისა და სხვათა ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან. საჭიროა სათანადო აქტის გაფორმებაც.

7.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამუშაოთა წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

8. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

8.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.

8.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამუშაოთა-მწარმოებელმა ფირმამ სამუშაოთა წარმოების დროს:

- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-30-79 „წყალ მომარაგება, კანალიზაცია და თბო-მომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისდროს;

8.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

– გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;

– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

– ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

9. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

9.1. შენობის დაშლაზე ნებართვა გაიცემა თბილქალაქ-არქმშენინსპექციიდან დადგენილი წესით.

9.2. დასაშლელ სამუშაოთა წარმართვა სასურველია ხელით, საავტომობილო ამწის გამოყენება რეკომენდებულია სახურავის დაშლისას, ასევე დაშლილი სამშენებლო მასალებისა და ნაგვის დასატვირთად თვითმცლელ ავტოტრანსპორტზე.

9.3. სამუშაოები იწყება კარ-ფანჯრების მოხსნით, იატაკების აყრით, შემდეგ სახურავის ფენილების მოხსნით. ბოლოს კი ტიხრების, გადახურვების და გარე კედლების დაშლით.

9.4. საძირკვლები ლენტური ტიპისაა და მოწყობილია მონოლითური რკინა-ბეტონისაგან. მის დასაშლელად საჭირო გახდება სანგრევი ჩაქუჩების გამოყენება.

9.5. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით.

9.6. შენობები უნდა შეიფუთოს მტვრის დამჭერი ფარდით, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

9.7. დაშლითი სამუშაოების უზრუნველყოფა ელ.ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან თელასთან და თბილწყალკანალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

9.8. დაშლითი სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

10. მანქანა-მექანიზმების და ინსტრუმენტ-დანადგარების შერჩევა

10.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში

№	დასახელება	რაოდენობა ცალი
1	2	4
1	ლითონის სახარაჩო სექციები 50 მ^2 ფართობისათვის	1
2	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	3
3	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	3
4	გადასატანი კომპრესორი	1
5	სანგრევი ჩაქუჩები	2
6	ავტოგენური საჭრელი აპარატები	2
7	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	2

8	ჩასაბმელი სამარჯვები	2
9	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	3
10	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2X2	2
11	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	1
12	პერფორატორები	1
13	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	1
14	თვითწევადი აკვანი	1
15	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	1
16	ვიბროსამსხვრევი	1
17	ელექტრომაგნიტური ბურღი	1
18	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	1

10.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

11. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

11.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

11.2 ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადე-

ნები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

11.3. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

11.4. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

11.5. ლითონის ელემენტების ჩაჭრისას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

11.6. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

12. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

12.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

12.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა.

12.3 იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავსაყრელ მილებში, სასურველია მათი პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა.

12.4 დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა.

12.5 სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

13. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

13.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მომქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

13.2. □□□□ 3.01.01.85* „□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□”, □. 1989□.

13.3. □□□□ I I I-4-80* „□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□”, □. 1988□

13.4. □□□□□□□□□□□ □□□□□□□□ – □□□□□□□□□□ , □. 1989 □.



ჭავჭავაძის გამზ.
ქავსაძის ქ.
თამარაშვილის ქ.
ფალიაშვილის ქ.

სამუშაოთა ორგანიზაციის გენერალური გეგმა



ექსპლიკაცია:

1.დასაშლელი შენობა;

2. ინვენტარული ვაგონი, ზომებით 3X6 მეტრზე;

3.მობილური ამწე საავტომობილო ან მუხლუხა სვლაზე. დაშლის სამუშაოთა წარმოებისას შესაძლებელია პერიოდულად იქნას გამოყენებული;

4. დროებითი ღობე;

5. ჭიშკარი;

პირობითი აღნიშვნები:

– საპროექტო ობიექტი;

– დროებითი ნაგებობა;

– ღობე;

– ჭიშკარი;

მითითებები:

1.დაშლის სამუშაოთა დაწყების წინ აუცილებელია მოეწყოს დროებითი ხის ღობე სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გენგეგმის მიხედვით.

2. მობილური ამწე საავტომობილო ან მუხლუხა სვლაზე შესაძლებელია პერიოდულად გამოყენებულ იქნას დემონტაჟის პერიოდში. მოსაშვილის ქუჩის მხარეს მეზობელ შენობასთან მომიჯნავე ნაწილის დაშლა მოხდეს ხელით.

3. განმარტებები და რეკომენდაციები დაშლით სამუშაოთა წარმოების შესახებ იხილეთ ტექსტურ ნაწილში;